

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №442
2013 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენის წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის და „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 14 მარტის ბრძანება №77 - ვებგვერდი, 14.03.2014წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენის წესი“ თანდართულ ფორმებთან ერთად (დანართი №1-№5).

მუხლი 1¹

საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მათი ბიუჯეტების შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშების საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენა 2014 წლის განმავლობაში განხორციელდეს როგორც მატერიალური ფორმით, ასევე ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (E-Budget) მეშვეობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრიდან - მხოლოდ ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (E-Budget) მეშვეობით.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 14 მარტის ბრძანება №77 - ვებგვერდი, 14.03.2014წ.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური



საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენის წესი

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების წარდგენის წესი“ (შემდგომში - წესი) ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენის წესს.

მუხლი 2. ეს წესი არ ვრცელდება საქართველოს ეროვნულ ბანკზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებზე და იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, რომლებიც წარმოადგენენ რელიგიურ ორგანიზაციებს ან მარეგულირებელ კომისიებს.

მუხლი 3. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა მათი ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ №1-№4 დანართების მიხედვით.

მუხლი 4. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა, გარდა ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ მათი ბიუჯეტების შესაბამისი წლის 3, 6 და 9 თვის შესრულების ანგარიშები საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 15 დღის ვადაში, №1-№4 დანართების მიხედვით, ხოლო წლიური შესრულების ანგარიში – წლის დამთავრებიდან 45 დღეში, №1-№4 დანართების მიხედვით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 14 მარტის ბრძანება №77 - ვებგვერდი, 14.03.2014წ.

მუხლი 5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თავის დაქვემდებარებაში მყოფი საგანმანათლებლო რესურსცენტრების მეშვეობით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარუდგინოს რესურსცენტრების სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების 6 თვის ნაერთი ანგარიშები, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 20 დღეში, ხოლო წლიური შესრულების ანგარიში – წლის დამთავრებიდან 2 თვეში, №1-№4 დანართების მიხედვით.

მუხლი 6. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა, №1-№4 დანართების შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარმოდგენის დროს, უზრუნველყონ პერიოდის დასაწყისისა და პერიოდის ბოლოსათვის, კომერციულ ბანკებში მათ ანგარიშებზე რიცხული ფულადი სახსრების თაობაზე საბანკო ამონაწერების (ბანკის მიერ დადასტურებული) წარმოდგენა.

მუხლი 7. საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენის პროცესის, ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემის (E-Budget) შესაბამის მოდულში ეტაპობრივად გადატანის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა, 2014 წლის 1 თებერვლამდე, უზრუნველყონ სისტემაში მუშაობაზე უფლებამოსილი პირების კანდიდატურების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენა, №5 დანართის შესაბამისად.

საგარეო										
სესხები										
სხვა კრედიტორული დავალიანებები										

შენიშვნა: შემოსავლებში არ უნდა აისახოს არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლებით, აგრეთვე ვალდებულებების ზრდით მიღებული სახსრები.

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა -----

კლება										
სამინაო										
სესხები										
სხვა კრედიტორული დავალიანებები										
საგარეო										
სესხები										
სხვა კრედიტორული დავალიანებები										

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა -----

ფინანსური აქტივების ცვლილება										
ზრდა										
ვალუტა და დემოზიტები										
სესხები										
აქციები და სხვა კაპიტალი										
სხვა დებიტორული დავალიანებები										

დასახელება	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება (ათასი ლარი) (3+4+10+11)	კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი (5+9)	დაფინანსების წყარო					ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი		
				სახელმწიფო ბიუჯეტი			მ.შ. ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების გარეშე	მ.შ. ფულადი გრანტები/მიზნობრივი დაფინანსება			10	11
				სახელმწიფო ბიუჯეტი ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების გარეშე		მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი						
				მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების გარეშე (6+7+8)	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრები							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11		
კლება												
ვალუტა და დემოზიტები												
სესხები												
აქციები და სხვა კაპიტალი												
სხვა დებიტორული დავალიანებები												
ვალდებულების ცვლილება												
ზრდა												
კლება												
ბალანსი												

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა -----

დასახელება	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება (ათასი ლარი) (3+4+10+11)	დაფინანსების წყარო									
		კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი (5+9)	სახელმწიფო ბიუჯეტი			მ.შ. ფულადი გრანტები/მიზნობრივი დაფინანსება	ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი		
				სახელმწიფო ბიუჯეტი ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების გარეშე							
				მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების გარეშე (6+7+8)	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გრანტები				მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული კრედიტები	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
შემოსულობები											
შემოსავლები											
არაფინანსური აქტივების კლება											
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)											
ვალდებულებების ზრდა											
გადასახდელები											
ხარჯები											
არაფინანსური აქტივების ზრდა											
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)											
ვალდებულებების კლება											
ნაშთის ცვლილება											
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის											
ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის											

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა -----

ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში დაშვებისათვის საჭირო ინფორმაცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირის დასახელება	
სამუშაო ადგილის მისამართი	
სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
თანამდებობა	
ელ.ფოსტა	
საკონტაქტო ტელეფონი	
თარიღი	